

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულება №  
2015 წლის ოქტომბერი  
ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად:

**მუხლი 1.** დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

**მუხლი 2.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

**ცნობა**

**„ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2015 წლის --- ოქტომბრამდე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო მიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი; ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №  
2015 წლის ოქტომბერი  
ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №40 დადგენილების ([matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge) 05/11/2014; 010250000.35.112.016195) პირველი მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტებში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლების ქვიანის, ჩოლობარგის, ჭყონაგორას, ჯაპანას, ნიგოთისა და ჯიხეთის მონასტერის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში.

ვ) შუხუთის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლების ზემო შუხუთის და ქვემო შუხუთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა  
და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია

2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 591 19 15 25

N 567  
15/10/2015

567-07-3-201510151105



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტს. ცვლილების მიზანია მხოლოდ ტექნიკური ხარვეზის გასწორება, რაც არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს კომისიის მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი.

ვინაიდან ნორმატიული აქტის ცვლილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, კომისიის მიერ ასევე მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

საკრებულოს სხდომაზე პროექტის მომხსენებლად კი წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ჩახვამის კანდიდატურას.

პატივისცემით,

გიორგი ჩახვამე



კომისიის თავმჯდომარე

ეკონომიკის, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია